

## საქართველოს კანონი

### "განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. "განათლების შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N33, 31 ივლისი, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

"12. სახელმწიფო ასრულებს თავის კონსტიტუციურ ვალდებულებას, მოქალაქეს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით უფასოდ მისცეს საშუალო და პროფესიული (მათ შორის უმაღლესი და უმაღლესისშემდგომი) განათლება საბიუჯეტო დაფინანსებით უზრუნველყოფილი სახელმწიფო დაკვეთის მეშვეობით."

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. სტანდარტების შესრულება სავალდებულოა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის."

3. 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) "გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) მის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ატარებს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ატესტაციას, რომლებიც ასრულებენ დაწყებით და/ან საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;"

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი